წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. ხუთშაბათი, 1 ოქტომბერი 1915 წ. № 106

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში [illegible] ყოველდღე კვირა უქმეების გარდა [illegible] საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“ поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ღირება 5 მანეთი.

„საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე ღირს 3 მ.—50 კ. მოვაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“, Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

ვკისრულობთ

გადავაკეთოთ, გავწმინდოთ და ახლათ შევღებოთ საქალებო და სავაჟო ქუდები

სპეციალურად ვწმენდავთ სავაჟო „კოტელოკებს“ და „ცილინდრებს“.

აგრეთვე ვწმენდავთ პლიუშს, ხავერდს, და ვაქენებთ ბინგლს.

ვახუჭუჭებთ და ვწმენდავთ სირაქლემას ფრთას და ბოას.

ქუდების სახელოსნო დ. გ. გვახარიასი

გოლოვინის პროსპ. № 39.

ქ. ქუთაისში 1915 წლის 15 ოქტომბრიდან, გამოვა ახალი ყოველდღიური

სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი

„მეგობარი“

გ. მაიაშვილის და კიტა აბაშიძის უახლოეს მონაწილეობით. გაზეთი ღირება წლიურად—8 მან; თვეში—80 კ.; ცალკე ნომერი 5 კაპ. პირველ ოქტომბრიდან პირველ იანვრამდე—2 მან. 50 კაპ. გაზეთს ყავს საკუთარი კორესპონდენტები საქართველოს ყველა დაბა-ქალაქებში და რუსეთის სატახტო ქალაქებშიაც.

მისამართი: ქუთაისი, ივანოვის ქუჩა. ჭილაძის სახლი, „მეგობრის“ რედაქცია.

რედაქტ.-გამომცემელი დ. ი. შარაშენიძე.

7—1

ხილეული, მადნეული და სამკურნალო წყლის

ქარხნები

მ. ე. ლაღიძე და ამხ.

თბილისში, გოლოვინის პრ. № 6. ქუთაისში, პუშკინის ქ. № 5.

ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების საყურადღებოდ!

ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს: სვან ყოველთვის მხოლოდ და მარტო მიტროფანე ლაღიძის და ამხანაგობის ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის სამკურნალო წყალი. მხოლოდ ლაღიძის წყალი მზადდება უმაღლესი ღირსების ბუნებრივი მასალებისაგან, განსაკუთრებული წესით ნადუღი და გამოხდილი წყლით. გაუფრთხილდით ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი მეტად გამრავლდა, მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი ლაღიძის წყალი, გემო და სუნი საამური აქვს და ჯანმრთელობისთვის სრულიად უვნებელია.

ახლად დაარსებული საამხანაგო

ფქვილის საწყობი „რაჭა“

ჰყიდის მეპურებზე და კერძო პირებზე ფქვილს ხელმისაწვდომ ფასებში. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 3.

—8

გადაწერას საწერ მანქანის

საშვალებით და საწერ მანქანაზე

მუშაობის სწავლებას

ხელმისაწვდომ ფასებში ჰკისრულობს

ი. თ. გვათუას კანტორა

ვერის დაღმართი № 1

ტელეფონი 17—05

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—6 საათ, ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

კბილის ექიმი

მამულაიშვილი

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

ქ. გორში

ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

ექიმი

გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: ტატიანის ქუჩა მიხეილის ქუჩის ახლო, სახლი 6. ზემო სართული. ტელეფონი № 3—92.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქუჩა № 36, მეორე სართული.

## მცხეთობა

დღეს ქართველი ერი დღესასწაულობს „მცხეთობას“, ანუ, საეკლესიო ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ,—„კათოლიკე ეკლესიისა, სვეტისა წმიდისა და კვართისა საუფლოისა“ დღეობას. იქნება ბევრი არც კი იცნობდეს ამ სიტყვების ისტორიულ შინაარსს, ამიტომ მოკლედ გავიცვალისწინებთ მათ მნიშვნელობას.

მატიანეს სიტყვით, როდესაც ელიოზმა იერუსალიმიდგან მცხეთას მოიტანა მაცხოვრის კვართი ანუ პერანგი, მას მიეგება მისი და სიდონია, რომელმაც გულში ჩაიკრა ეს კვართი და იქვე სული განუტევა. იმ ადგილას, სადაც ის დაასაფლავეს გულში კვართჩახუტებული, ამოვიდა კვიპაროზის ხე. როდესაც წმიდა ნინომ მონათლა ქართველები, მირიან მეფემ სიდონიას 4 კვართის საფლავზე ააშენა მცხეთის ტაძარი, რომელსაც მისი სიდიადისა და ცენტრალ მნიშვნელობის გამო ეწოდა „კათოლიკე“ ეკლესია. კვიპაროზი, რომელიც ამ საფლავზე იყო, მოსჭრეს და ეკლესიის დედა-ბოძად მოიხმარეს. ბევრი ცდა და შრომა დააკარჯეს ოსტატებმა, მაგრამ მაინც ვერ მოახერხეს ამ ბოძის აღმართვა; ბოლოს, წმიდა ნინოს ვედრებით, ის თავის-თავად აღემართა და იწყო სასწაულთა ჩვენება.

ამნაირად, „კათოლიკე ეკლესია“, რომელიც „საშვალ საშოისა თვისისა“ შეიცავს „სვეტსა ცხოველსა და კვართსა საუფლოსა“, ჩვენ გვაგონებს ქართველების გაქრისტიანებას და წმ. ნინოს და მირიანის ღვაწლს ამ საქმეში. „მცხეთობა“ საქართველოს ეკლესიის ერთი უძველეს დღესასწაულთაგანია, რომელიც თან და თან ვითარდებოდა, სანამ დღევანდელი სახე არ მიიღო მეთორმეტე საუკუნეში, როდესაც გამოჩენილმა ნიკოლოზ კათალიკოზმა შეამკო ის შინაარსიან, ენა-წყლიან და ზეაღმაფრენ საგალობლებით და „გიხაროდენით“. კვართი უფლისა საქართველოში შეიქნა სიმბოლოდ არამც თუ ეკლესიისა, არამედ ცხოვნებისა და სახელმწიფოისა; ქართველი მეფეები მას ჰხატავდნენ თავიანთ ღერბში. „მცხეთობა“ არის ჩვენი კულტურის და ისტორიის ფოკუსი. „კათოლიკე ეკლესიის“ აშენებიდგან და მასში სვეტი-ცხოველის აღმართვიდგან ჩვენში იწყება ახალი ხანა, რომელმაც ერთხელ და სამუდამოდ გამოარკვია ჩვენი ისტორიული სვე-ბედი. დღეს ჩვენ თუ შეგვრჩენია „ქართველის“ სახელი, დღეს ჩვენ თუ გვატკბობს ენა ქართული, — ეს „მცხეთობის“ მეოხებით, ვინაიდგან მცხეთაში მომხდარმა ფაქტმა, რომელსაც დღეს ვიგონებთ, შექმნა და განამტკიცა ქართული ეროვნული და პოლიტიკური ორგანიზმი. ტყუილად კი არ ამბობდა მეცხრე საუკუნის გამოჩენილი მოღვაწე გრიგოლ ხანძთელი, რომ საქართველო ის არის, სადაც ქართულ ენაზე გაისმის ღვთის დიდებაო, და ეს ღვთის-დიდება კი მომდინარეობს მცხეთიდგან. მართალია, დღეს ჩვენთვის ამ დღესასწაულს იმდენი სარწმუნოებრივი სიცხოველე აღარ აქვს, როგორც წინედ, მაგრამ ის ეხლა ჩვენთვის უფრო ძვირფასი უნდა იყოს, როგორც ეროვნულ იდეის გამომხატველი და მატარებელი. ამისთვის ყოველი შეგნებული ქართველი, ყველა ის, ვისთვისაც „ქართველის“ სახელწოდებას რაიმე მნიშვნელობა და ფასი აქვს, ვალდებულია მივიდეს დღეს მცხეთაში და თაყვანი სცეს თვისი კულტურის, ეროვნების და პოლიტიკური წარსულის აკვანს და ემბაზს. ამით გავახარებთ მირიან მეფის აჩრდილს, რომელიც გულდამშვიდებით ეტყვის ნინოს, ქეთევანს და თვით ღვთის-მშობელს: „აჰა მე და შვილნი ჩემნი“, რომელნიც დღეს მოვიგე მეო!

ქართველი.

## გაასი

XIX

### ჩვენ და მეზობლები.

ამას წინად, დიდის მთავრის მობძანების გამო საქართველოში მეფის ნაცვლად, ჩვენ აღვნიშნეთ, თუ რა დიდად შეუწყო ხელი საქართველომ რუსეთის მსოფლიო პოლიტიკას აღმოსავლეთში. დახშულ დარიალის კარის გაღებით რუსეთი საფუძვლიანად დამკვიდრდა ამიერ-კავკასიაში. სულ რაღაც ოთხის წლის განმავლობაში (1802—1806 წ.) შესანიშნავმა მხედართ სარდალმა თ. პავლე დიმიტრის ძე ციციშვილმა შესძინა რუსეთს აღმოსავლეთი ამიერ-კავკასია მდინარე არეზამდე და კასპის ზღვამდე, ესე იგი სამაჰმადიანო სახანოები: განჯისა, ერევნისა, ყარაბაღისა, ბაქოსი და სხვა. ამ დღიდან რუსეთმა შეიძინა დიდი გავლენა ირანისა და ოსმალეთის პოლიტიკაზე. უსაქართველოდ ამაზე ოცნება ფუჭი იქნებოდა. მხოლოდ ახლა მოეცა რუსეთს საშუალება ეწარმოებინა ის პოლიტიკა, რომლის ერთი წვერი მიხრილია სტამბოლისკენ, მეორე კი ინდოეთისკენ სპარსეთის ყურით.

კავკასიის ქედის აქეთ რუსეთს დახვდა ორი ერი: ქართველობა საქრისტიანო სამეფოებით და სამთავროებით და მუსულმანობა მრავალი სამაჰმადიანო სახანოებით. ასე რომ მკვიდრი ამიერ-კავკასიისა იყო და არის მარტოდ-მარტო მრავალ შტოიანი ქართველი და თათარი. ალაგ-ალაგ ჩათესლებული ქართველ მეფეთაგან, ან ხანების მიერ სომხობა სავაჭროდ და სახელოსნოდ სათვალავში არ იყო მისაღები, როგორც არაა მისაღები დღესაც შემოხიზნული ბერძენი, ისრაელი, ოსი, ან კიდევ სხვა ვინმე.

ასე იყო ასის წლის წინად. სულ სხვაა დღეს. როგორც მთის წვეროზე ჩასახული ზვავი ვერ გაჩერდება მთის ფერდობზე და უსათუოდ ხევში უნდა დაეშვას, ასევე დაემართა რუსეთის მსოფლიო აღმოსავლეთის პოლიტიკასაც. იგი ვერ გაჩერდა მდ. არეზის კიდეებზე და იწყო ყურება სპარსეთის ყურესკენ. ამ გზაზე კი გაჭიმული იყო სომხეთის ყოფილი სამეფო და გაბნეული სომხის ერი. თავის თავად ცხადი გახდა, რომ სომხეთის ყოფილი სამეფო და სამთავრონი და გაბნეული სომხის ერი უნდა მოჰყოლოდა რუსეთის მსოფლიო პოლიტიკის ბორბლის ტრიალს და მოჰყვა კიდეც.

მაგრამ აქ ვიხილეთ დაუდეგარ პოლიტიკის მოულოდნელი მალაყები. იმის მაგიერ რომ რუსეთის აღმოსავლეთ პოლიტიკას მფარველობა იქ, ბინაზე გაეჩინა სომხებისთვის, შეეწყო ხელი მათის აღორძინებისთვის კულტურულად და პოლიტიკურად და გალონიერებულ სომხობის შემწეობა-დახმარებით გზა გაეკვლია სპარსეთის ზღვისკენ, აქეთ, აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიისკენ და ზემო-ქართლისკენ (მესხეთი) უყო პირი, გასდო ხიდი მდ. არეზზე და იწყო დენა ამ ხიდით და სოღანლუღის კარით სომხობამ ჩვენსკენ. მთელი მეცხრამეტე საუკუნე გახლავთ ისტორია ასეთის დენისა სომხის ერისა სპარსეთ-ოსმალეთიდან საქართველოსკენ და აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიისკენ.

ყველაზე მეტად ჩვენის ფიქრით, დაზარალდა სომხობა. სივაგლახე ცუდად ნაწარმოებ პოლიტიკისა გამოაშკარავა დღევანდელმა მსოფლიო ომმა. სასომხეთოში სომხობა მატლივით ისრისება. ტრაპიზონის ვილაიეთში 14.000 სომხიდან ცოცხალი გადარჩენილა მარტო ასიოდე სული. ესევე ხდება ვანისა, ბითლისისა, მუშისა და სხვა ვილაიეთებში. გმირნი სასუნელნი, ეს ჩვენებურნი თუშ-ფშავ-ხევსურნი, სულს ძლივსღა ჰლაფავენ. სარდალნი სასუნელთა უკვე დაძრულან ბინიდან, ვინც ცოცხალი გადურჩა მტრის მახვილს.

ჯერ კიდევ ამ დიდ ომამდე ბევრს გულწრფელ სომხის მამულიშვილს გულის ტკივილით და კვნესით მოუხსენებია ეპისკოპოზი კარაპეტი, რომელმაც თითქმის 100,000 სული დასძრა აზრუმიდან და დაასახლა ქართველთა ბინაზე. საქართველოსკენ დენა სომხებისა დაჰღუპავს სომხის ერის მომავალსაო. იქ, სასომხეთში, უნდა ჩაიყაროს საძირკველი სომხის ერის კულტურულ-პოლიტიკურ განახლებისა და არა სხვისა კარმიდამოშიო. ჰიანჭველები ხომ არ არიან ჩვენი უნებურნი მასპინძელნი, ალბად მტრად გადაგვექცევიან და აბა ასეთი ყოფა რა ყოფაა. მუდამ ბრძოლა და მტრობა სტუმარ-მასპინძელს ნიათს გამოულევს და ვინმე მესამე გაიხარებს ჩვენს ნატამალზეო.

თავის დროზე ვერ შეიგნეს ეს გონიერი მსჯელობა და ბევრს სომხის მოღვაწეს დღესაც ვერ შეუთვისებია იგი. რას იზამთ, ასეთი ყოფილა წუთისოფელი. გზა მაშინ გამოჩნდება ხოლმე, როდესაც ურემი გადაბრუნდება, მაგრამ უშველისღა საქმეს გზის აღმოჩენა ურემის დამსხვრევის შემდეგ?

ა.—ლი.

(ზოგი შემდეგ).

## ქართველი ხალხის თანამედროვე მდგომარეობა

I

კაცობრიობის კულტურა საზოგადოებრივობის ზრდის ფუნქციაა. ეს არის ერთი ძირითადი რწმენათაგანი თანამედროვე სოციალი ფილოსოფიისა. ეს დებულება აპრიორულის სიცხადით გამომდინარეობს ცნება კულტურის ლოღიკურ ანალიზიდან, ხოლო აპოსტერიორულად მას მთელი რიგი ისტორიული ფაქტი ამოწმებს და ადასტურებს. ყოველგან, საცა კი ადგილი ჰქონია საზოგადოებრიობის ზრდას, უტყუარად კულტურის წინსვლასაც შეამჩნევთ. პირიქით, საზოგადოებრიობის დაქვეითება, მისი დეზორგანიზაცია მუდამ კულტურის დაქვეითებასთან ყოფილა დაკავშირებული.

თვით საზოგადოებრიობა ცვალებადი ოდნობაა. იგი ოდნობა იცვლება ჯერ ერთი საზოგადოების ნ[illegible]იერ საფუძვლის ცვლილებასთან ერთად და მერე იმ პრინციპების ცვლასთან ერთად, რომელიც საზოგადოების მოგვარების საქმეს განაგებს. საზოგადოების ნივთიერ საფუძვლად უნდა ვიგულისხმოთ მოსახლეობის რაოდენობა, მიწა-წყალი და საზოგადოების ქონებრივი სიმდიდრე საერთოდ. ხოლო საზოგადოების მომგვარებელ პრინციპებად უნდა იგულისხმებოდეს ის სხვა და სხვა დასაბამი, გან-

საკუთრებით პსიხიური რიგისა, რომლის სახელით ადამიანები საზოგადოებად ეწყობიან. პირველია შინაარსი საზოგადოებრიობისა, მეორეა მისი ფორმა. რაც უფრო მდიდარია საზოგადოების ნივთიერი საფუძველი, მით, cacteri paribus, უფრო განვითარებული უნდა იყვეს საზოგადოებრიობა. იგივე უნდა ითქვას საზოგადოების მომგვარებელ ფორმალ დასაბამის შესახებაც. განვითარება თუ, წინააღმდეგ, დაკნინება ამ დასაბამისა იწვევს საზოგადოებრიობის გაძლიერებას ანუ დასუსტებას. საზოგადოების ნივთიერ საფუძვლის ცვლილებას ჩვენ აღვნიშნავთ „საზოგადოების ექსტენსიური ზრდის“ ტერმინით, ფორმალ მომგვარებელ დასაბამს კი „ინტენსიურ ზრდას“ ვუწოდებთ. საზოგადოების ექსტენსიური გაზრდის მაგალითი გვექნება, როდესაც ერთი რომელიმე ორგანიზაცია თავის გავლენის სფეროში მოიქცევს ადამიანების ახალ ჯგუფს. რომის ბატონობის გავრცელება ძველად მთელ განათლებულ ქვეყნისაგან ცნობილ ხალხებზე სწორედ ამ გვარი გაზრდის ნიმუშია. საზოგადოების ინტენსიური ზრდის მაგალითი გვექნება იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოების წევრები, დიფერენციაციის ძალით, ერთმანეთს უფრო მჭიდროდ მიეკვრებიან. ამის მოხდენილ მაგალითს იძლევა ისტორია საშუალო საუკუნეთა ფეოდალურ მონარქიების გადასვლისა ახალ დროის ეროვნულ სახელმწიფოების ფორმაში. ექსტენსიურ ზრდასთან ერთად იცვლება საზოგადოებრივი ორგანიზაციის რაოდენობითი შემადგენლობა, ინტენსიურ ზრდასთან ერთად კი—თვით ხარისხი ორგანიზაციისა.

უმეტეს შემთხვევაში საზოგადოებრიობის ინტენსიური ზრდა მჭიდროდ არის დაკავშირებული ექსტენსიურ ზრდასთან და წინააღმდეგ. მაგრამ მოხდება ისედაც, რომ ექსტენსიური გაზრდა საზოგადოებრიობისა ინტენსიურობის გაძლიერებას კი არა, მის დასუსტებას იწვევს. სიგანეზე გაწევა საზოგადოებრიობის დაჭიმულობას ანელებს. მოვიყვან ორად ორ მაგალითს, რომელიც ამ აზრს ასაბუთებს:

1) რუსეთის საზოგადოებრიობის სიღრმითი განვითარება შეაყენა ციმბირისა და ვოლგის გაყოლება რაიონების შეძენამ, რადგანაც რუსეთის ცენტრალ გუბერნიებიდან დიდძალი მოსახლეობა წაიტყუა. როგორც სხეულის გაგანიერება-გაფართოვებას მოჰყვება ხოლმე მისი ტემპერატურის დაწევა, აგრეთვე საზოგადოების ტერიტორიული გაფართოვება, ათხელებს რა საზოგადოების შემადგენლობას, ამცირებს საზოგადოებრიობის ინტენსიურობას ექსტენსიური ზრდა ასუსტებს მჭიდროობას საზოგადოების წევრებ შორის და ამით უარყოფით ზედგავლენას ახდენს საზოგადოებრიობის ტიპზე, მაშასადამე კულტურაზედაც.

2) საზოგადოების სხვა და სხვა საფეხურზე მდგომი ორი საზოგადოებრივი ჯგუფის შეერთება დაბლა სწევს უფრო განვითარებული ჯგუფის საზოგადოებრიობას. მაკედონიის მიერ საბერძნეთის დაპყრობა საუკეთესოდ ასურათებს ამ აზრს.

თქმა არ უნდა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადგილი არ აქვს მოვლენათა იმ უთუო და მექანიკურ ურთიერთ-დამოკიდებულებას, რასაც მაგ. ფიზიკის სფეროში ვამჩნევთ. მტკიცე დეტერმინიზმი პრინციპადაც რომ დაგვედო საზოგადოებრივ ცხოვრების მოვლენათათვის, მაშინაც ამ მოვლენათა სირთულის გამო, იძულებული ვიქნებოდით ზღუდული განმარტება მიგვეცა აღმოჩენილ სოციალ კასონებისთვის. აი რატომაც არ შეიძლება მაინცდამაინც იმის დამტკიცება, რომ საზოგადოებრიობის ყოველგვარი ექსტენსიური ზრდა მის ინტენსიურობის დაქვეითებას გამოიწვევსო. მოყვანილი მაგალითები ამტკიცებენ მხოლოდ იმას, რომ ამგვარი შემთხვევები **შესაძლებელია**, რომ **შეიძლება** ჯგუფთა გამყოფ კედლების მოსპობამ საზოგადოების გაძლიერება კი არა, მისი შესუსტება გამოიწვიოს.

და რადგანაც საზოგადოებრიობის განსაზღრული ინტენსიურობა აუცილებელი პირობაა თვით საზოგადოების არსებობისათვის, ამიტომ ცხადია, რომ როდესაც საზოგადოებრიობის ექსტენსიური ზრდა მისავე ინტენსიურობას ნაჩვენებ ხარისხზე უფრო დაბლა ჩამოიყვანს, მაშინ საზოგადოება აუცილებლად უნდა დაიშალოს, ამასთან ერთად უნდა დადგეს ხანა მისი კულტურული რეგრესისა. ის აზრი, რომ საზოგადოებრიობის ექსტენსიური გაფართოვება ცუდად იმოქმედებს მის ინტენსიურობაზე, მთავარი გასამართლებელი საბუთია იმის რომ დიდ სივრცის სახელმწიფოში საჭიროა მოხდეს პოლიტიკური ხელმწიფების დეცენტრალიზაცია. ეს აზრი იმის საბუთია, რომ საჭიროა წვრილ ორგანიზაციებს მიეცეს ერთგვარი დამოუკიდებლობა, რათა ფართედ ისარგებლონ ამ დამოუკიდებლის უფლებით და უფრო შეამჭიდროვონ მათ ორგანიზაციაში მოქცეული ხალხი. ეს მოსაზრებანი უნდა წარმოადგენდენ მთავარ არგუმენტს იმ პირებისათვის, ვინც იცავს პატარა ეროვნებათა თვითგამორკვევის უფლებას. ეროვნებასარკმელია მსოფლიო საკაცობრიო კულტურაში შესასვლელად. ეროვნების აზრი ისაა რომ ადამიანთა ურთიერთობა გააინტენსიუროს და რომ საზოგადოებრიობის ექსტენსიურ ზრდას არ ჩამოაქვეითებინოს მისი ინტენსიურობა და მაშასადამე, არც მისი კულტურა.

ჩვენს წერილებში გვწადია ქართველი ხალხის თანამედროვე მდგომარეობის მოკლე დახასიათება იმ საფუძვლის კვალობაზე, რომელიც ზემოდ წამოვაყენეთ და რომელიცაა კულტურულ და საზოგადოებრივ განვითარების ხარისხობითი ურთიერთობა. გამოსავალ წერტილად მიჩნეული იქნება ჩვენი საზოგადოებრიობის მდგომარეობის განხილვა.

ს. დარიანი.

„გებენი“, „ბრესლაუ“ და „ჰამიდიე“ გამოჩნდენ შავ ზღვაში, ბულგარეთის ნაპირებთან ახლოს.

გერმანეთმა სთხოვა რუმინეთს, რომ ჯარები გაეტარებინებია მის ტერიტორიაზედ. რუმინეთმა უარი უთხრა.

ბულგარეთის ელჩმა მოსთხოვა საბერძნეთის მთავრობას შეეჩერებინა მოკავშირეთა ჯარის გადმოსხმა საბერძნეთის ტერიტორიაზედ.

ნიშაში ემზადებიან წასასვლელად. ბანკები, არქივები და სახელმწიფო დაწესებულებანი პრიშტინში გადააქვთ.

ბულგარეთსაც გაულაშქრია.

[illegible] იუწყება, რომ ბულგარეთმა [illegible] სერბიისკენ კნიაჟევიჩის ფრონტითაო.

პარიზის სააგენტოს ცნობა.

მთელ ღამის განმავლობაში სასტიკი სროლაა თხრილების გარშემო სუშესა და ფოლის მწვერვალებთან. დანარჩენ ფრონტზე საგულისხმიერო არა მომხდარა რა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ლოტარინგიაში გაცხარებულ საარტილერიო ცეცხლის ფრქვევას.

# ომის ამბები

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ზაიმისის პოლიტიკა.**

ათინიდან იტყობინებიან, რომ ზაიმისის ახალი კაბინეთი თავის წმინდა მოვალეობად სთვლის მისდიოს იმ პრინციპს, იმ პოლიტიკას, რასაც საბერძნეთის მთავრობა დაადგა დღიდან ომის გამოცხადებისაო. ყოველ მოსალოდნელის დასახვედრად საბერძნეთში გამოცხადებულია შეიარაღებული ნეიტრალიტეტის დაცვა. ვენიზელოსის მარცხი აუცილებელი იყო სწორედ საბერძნეთის კეთილდღეობის დასაცველად, რომ ომის ქარცეცხლი ავაცდინოთ ჩვენს სამშობლოსაო.

**ბულგარეთის მთავრობის განცხადება.**

ბულგარეთის მთავრობას, „ფრანკფურტერ ცაიტუნგის“ სიტყვით, სოფლის საზოგადოებისათვის დაუგზავნია ერთგვარი განმარტება არჩეული პოლიტიკური კურსის შესახებ. სხვათა შორის, ამ განმარტებაში სწერია: „ოთხთა შეთანხმება, სერბეთი და მთაშავეთი იმის ცდაში არიან, რომ სხვა ხალხები შეზღუდონ; ცენტრალი სახელმწიფოები კი თავიანთ სამფლობელოებს იცავენ. მეტისმეტი ბავშვობა იქნებოდა, რუსეთისაგან რაიმე შველას მოველოდეთ. არც იმისი საბუთი გვაქვს, რომ ინგლისიდან რაიმე დახმარებას მოველოდეთ, რადგანაც ინგლისი რუსეთს შეეთანხმა სტამბოლის შესახებ და თანაც შეჰპირდა, რომ დაეხმარება კიდეც შავი ზღვის გაყოლებაზე რუსეთს ერგუნოს ერთი ზოლი მიწა, რომელიც უნდა ჩამოერთვას რუმინეთს, ბულგარეთს და ოსმალეთს. თუ გაიმარჯვა, რუსეთი ხელთ იგდებს არა მარტო სტამბოლს, არამედ ვარნასა და ბურგასსაც, ამიტომაც ბულგარეთმა გადასწყვიტა თავისი ბედი ავსტრეთ-გერმანეთის იარაღს დაუკავშიროს. ესენი ისე დაიცავენ ბულგარეთს, როგორც რუსეთი იცავს სერბეთსაო.

—

პარიზში ვარჯიშობის დროს, ჰაეროპლანი ჩამოვარდა. ორი მფრინავი ძლიერ დაშავდა. ხალხისაგან არავის არაფერი შემთხვევია. ომის დაწყებიდან ეს პირველი მაგალითია, რომ ჰაეროპლანი ჩამოვარდნილიყოს.

**„ტრუდოვაია პრავდას“ საქმე.**

„ტრუდოვაია პრავდას“ რედაქტორებს როგორც ფაქტიურს ისე იურიდიულს სამოსამართლო პალატამ ციხე მიუსაჯა: სმირნოვს ერთი წლით, მიხაილოვს წლით და 2 თვით, გერციკს 3 წლით და ფილიპოვს 6 თვით. მათ მთელი რიგი შენიშვნები მოათავსეს ხსენებულ გაზეთის ფურცლებზე, რამაც ივლისის არეულობა გამოიწვია.

**უწმინდესს სინოდში.**

სინოდის ობერ პროკურორის სამარინის სამსახურიდან გადადგომის შემდეგ, დიდ ცვლილებებს მოელიან მაღალ სასულიერო წრეებში.

სინოდის მიტროპოლიტი ვლადიმერი ავად გახდა. ზოგიერთ წრეებში კვლავ წამოაყენეს საბლერის კანდიდატურა. ობერ-პროკურორის ამხანაგის ისტომინის კანდიდატურას ძლიერ ცოტა მომხრე გამოუჩნდებაო.

**შჩერბატოვის გამგზავრება.**

სამინისტროდან გასული შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი გამგე თ-დი შჩერბატოვი პეტროგრადიდან, თავის მამულში, პოლტავის გუბერნიაში გაემგზავრა.

—

„რუსკ. ვედ.“ ბუქარესტიდან ატყობინებენ, რომ მოკავშირეთა ტრანსპორტი და ასი ათასზე მეტი ჯარისკაცი გადაიყვანეს მუდროსში.

მაკენზენს ჯერ-ჯერობით 250 ათასი ჯარისკაცი ჰყავს. ეს რიცხვი ახლო მომავალში 800.000-მდე ავაო.

—

შინაგან საქმეთა ახალმა მინისტრმა ხვოსტოვმა პეტროგრადის გაზეთების კორესპონდენტებს საუბრის დროს უთხრა:

„მე იმ აზრისა ვარ, რომ დათმობა აუცილებელია

როგორც გულად კაცს, მე დათმობისა არ მეშინიან.

პოლიტიკა კუჭზეა დამოკიდებული. პირველ ყოვლისა კუჭისთვის უნდა ვიზრუნოთ; ჯერ ის გამოკვებვთ და შემდეგ ილაპარაკეთ პოლიტიკურ მოთხოვნილებათა შესახებ.

ჩვენ ვდგავართ საშინელ საფრთხის წინაშე: სიმშილობა ამბოხებას გვიმზადებს.

პირველად ყოვლისა უნდა ვიზრუნოთ დამშეულთა დასაკმაყოფილებლად.

მე აშკარა მომხრე ვარ პროფესიონალ მუშების ორგანიზაციებისა, ხოლო გავილაშქრებ სინდიკატის წინააღმდეგ. მე მუდამ აგრესიულ პოლიტიკის მტერი ვიყავი და განვაგრძობ თ-დი შჩერბატოვის პოლიტიკასო.

**რა აზრისა არიან ხვოსტოვის დანიშვნის შესახებ.**

დეპუტატი ზამისლოვსკი: მე ვეგებები ხვოსტოვის დანიშვნას, მისი დანიშვნით უთუოდ შეიცვლება მინისტრის კაბინეტიო.

მარკოვ მეორემ ირონიულად სთქვა: ხვოსტოვი პირველი დეპუტატია, რომელიც მინისტრად დაინიშნა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გვყავს მინისტრი—სახალხო მოღვაწე.

შემიძლია მიულოცო გამარჯვების ბლოკი.

ეფრემოვი განაგრძობს:

ხვოსტოვის დანიშვნა—ეს ცდაა დაიცვან არსებული კურსი. მალე უნდა მოიწვიონ სახალხო მოღვაწეები მარა შესაძლებელია ის დაგვიანებულ იქნას.

როდიჩევი: ახალი მინისტრის დანიშვნა—ეს ახალი გამოწვევაა.

—

როგორც ხმა დადის, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი თ-დი ვოლკონსკის მაგივრად დანიშნული იქნება პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი დირექტორი ებელეცკი.

## უკანასკნელი ფოსტა

ფრანგებს ცოტათი წინ წაუწევიათ სუშეს მიდამოსა და ფოლის სიმაღლესთან. ტყვედ შეუპყრიათ ასი მოწინააღმდეგე.

შამპანში ფრანგებს გერმანელების სიმაგრეები აუღიათ 108 ტყვე ჯარისკაცითურთ.

არტილერიის გაცხარებული ბრძოლა სწარმოებს ეპარჟესთან.

ბულგარეთში დღეს მოელიან სერბეთის წინააღმდეგ მეფის მანიფესტით ომის გამოცხადებას.

ბულგარეთში აუარებელი გერმანელები მიდიან. ყოველდღე მოსულთა რიცხვი მატულობს.

მდინარე სტირზე რუსის ჯარმა გერმანელების ხაზი გაარღვია. ტყვედ შეიპყრა 2000 ჯარისკაცი ღ60 ოფიცერი ნადავლია 4 ზარბაზანი და 10 ტყვიისმფრქვეველია.

ბულგარეთის ელჩმა მაჯაროვმა თავის ამალით პეტროგრადი დასტოვა.

საფრანგეთის საზღვარზე 28 სექტემბერს გერმანელებს თავგამოდებითი იერიში მიჰქონდათ. ჯერჯერობით იერიში უშედეგოდ დაგვირგვინდა გერმანელებისთვის.

სერბეთში ავსტრეთ-გერმანეთის ჯარი წინ მიიწევს. სერბებმა მიატოვეს ქალაქი ბანოვა-ბრდა და ორი კილომეტრით დაიწიეს.

ბუქარესტიდან იუწყებიან საზღვარზედ ბულგარ-სერბთა შეჯახება თანდათან დიდი ბრძოლის ხასიათს ღებულობსო.

# შტაბის დეპეშები

**კავკასიის ფრონტი.** ზღვის ნაპირებზე ოსმალნი შეეცადნენ დილის ბურუსით ესარგებლათ და მდ. არხავესკენ გამოელაშქრნათ. მათი ცდილობა ადრევე გაიგეს და მალე შეაჩერეს კიდეც. იშხანის ჩრდილოეთით, ბარაქეთის მთის რაიონში, მოწინავე რაზმთა შეჯახება მოხდა. სოფ. კეღიქის რაიონში, ტორტუმის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სროლამ უფრო მკვირცხლი ხასიათი მიიღო. ოსმალთა გამოლაშქრება გონალოს მხრით, მელიაზგერთის ჩრდილო-დასავლეთით, შეჩერებულ იქმნა სოფ. ექრებთან. მტერი უკუგდებულია. ვანის ტბის რაიონში, ვანის ტბის აღმოსავლეთით, რამდენიმე შეტაკება მოხდა. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

**პეტროგრადი, 29 ენკ.** ოფიციალი. რიგის ყურეში მოფრენილი გერმანელთა ჰიდროპლანები რუსთა ნაღმოსნებმა უკანვე გაჰრეკეს. ტუკუმის რაიონში „ილია მურომეციდან“ რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდეს გერმანელთა ბანაკში. დვინსკის რაიონში მკაცრი ბრძოლა გრძელდება. სოფ. დუბელიშკის რაიონში, ილლუკსტის ჩრდილო-დასავლეთით, გერმანელებმა რუსთა თხრილები დაიჭირეს. ბრძოლა ოდნავაც არ შენელებულა. დაუცეს-გეას რაიონში, ნოვო-ალექსანდროვკას ჩრდილო-აღმოსავლეთით, რუსთა არტილერიამ გერმანელები გაჰფანტა. რუსთა არტილერიის ცეცხლითვე გერმანელებმა გასწმინდეს სოფ. ტორჟოკი, დემონის ტბის სამხრეთით. რუსებმა განთიადის ბურუსით ისარგებლეს და თითქმის თოფის გაუსროლებლივ აიღეს დემონის ტბის სამხრეთით გავლებული თხრილები. თან წამოიყვანეს ტყვეები და ტყვიისმფრქვეველები. გრეზენტალთან, დრისვიატის ტბის ჩრდილოეთით, რუსებმა გაიმარჯვეს აქაც ტყვეები წამოიყვანეს. რუსმა მფრინავებმა დიდი დახმარება გაუწიეს სავალე ჯარს და მედუნ-დრისვიატის ხაზზე 50 ყუმბარამდე ჩამოაგდეს. ობოლის ტბის სამხრეთით რუსის ჯარები გადავიდნენ მდ. პსორვულზე და დაიჭირეს სოფ. რუმი, გოლოვიჩი და ჰაგრანცი. რუსის ჯარებმავე დაიჭირეს ბოგინის ტბის ყელის ჩრდილოეთი წვერი, ოგინის არხის რაიონში გერმანელები შეეცადნენ რამდენიმე გზით გამოელაშქრნათ, მაგრამ ყოველ მხრით მოგერიებულ იქნა. პინსკის სამხრეთ-დასავლეთით, სოფ. ომორონ, გერმანელებზე იერიში მიიტანეს, გამორეკეს და დიდი ზარალიც მიაყენეს. პრიპიატის სამხრეთით, მდ. სტირის მარცხენა ნაპირზე, რუსის ცხენოსნები დათარეშობდნენ და ბევრგან მარჯვედ წაუყვანეს საქმე. სოფ. როფალოვკასა და ცმონის რაიონებში, ჩარატორისკის ქვემოდ, რომ სტიროზე გადასულიყვნენ, გერმანელებმა რამდენჯერმე იერიში მოიტანეს, მაგრამ ამაოდ. გალიციაში, სოფ. მაივორონკას რაიონში, ტრემბლევის რაიონში, რუსებმა გაიმარჯვეს, გაარღვიეს მტრის უკანასკნელი მავთულები და ერთი მწვერვალი აიღეს სოფ. გაივორონკას აღმოსავლეთით. აქ იყო მტრის ციხე, რომელიც ხელმძღვანელობას უწევდა ფარულ თხრილებს. სიმაგრის გარშემო ორპირად შემოვლებული მავთული ჰქონდა. თვით სიმაგრეში 252 კაცი დანებდა, წამოიღეს ზარბაზანი და 3 ტყვიისმფრქვეველი. დამარცხებულნი შეეცადნენ დანაკარგის დაბრუნებას, კონტრიერიშით წამოვიდნენ, მაგრამ მოგერიებულ იქნენ. ახალი იერიშით რუსებმა გაარღვიეს ფრონტი მაკოვის მთასთან და ავსტრიელთა მთელი ბატალიონი წამოიყვანეს ტყვედ. ამ მხარეს ავსტრიელები უთავბოლოდ გარბოდნენ და სცდილობდნენ მდ. სტრიპის მეორე ნაპირზე მაინც მოემაგრებინათ ფეხი. რუსის რაზმები ფეხდაფეხ მისდევდნენ და მალე ცეცხლ-მოდებულ ხიდებზე გაიჭრნენ, რომ სტრიპის მეორე ნაპირზედაც არ მოესვენებინათ მტერი. ამ დღის გამარჯვებას დავლად დარჩა 4 ზარბაზანი, 10 ტყვიისმფრქვეველი და ტყვედ წამოყვანილი 60 აფიცერი და 2000 ჯარისკაცი.

# საზოგადოებანი და კრებები

**ქართული საქველმოქმედო საზოგადოება.**

ამ მცირე ხნის განმავლობაში შესდგება ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების წევრთა საერთო კრება, რომელსაც წარედგინება განსახილველად წარსულ საანგარიშო წლის ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა და შემოსავალ-გასავლისა. როგორც ანგარიშიდანა სჩანს, რამდენადაც ამ ჟამად საზოგადოების მოქმედება გაცხოველებულია და ნაყოფიერი, იმდენადვე წარსულ წელში საზოგადოების მოქმედება მკრთალი და უნაყოფო ყოფილა. საზოგადოების მოქმედება საანგარიშო წელს გამოხატულია თავად-აზნაურობისაგან აღებულ ატენის მამულის მოვლაში. ამ მამულს ჰოუცია სულ ერთი კოკა ღვინო, რომელიც ტყის მცველს წაუღია ჯამაგირის ანგარიშში. გამგეობის განკარგულებაში ყოფილა სულ წინა წლების ხარჯებიდან გადარჩენილი 620 მანეთი; სხვა შემოსავალი საზოგადოებას არა ჰქონია რა დახარჯულა სულ ხსენებულ ატენის მამულის ძოვლა-პატრონობაზე, მგზავრობაზე და განცხადების დაბეჭდვაზე 660 მან. 40 კაპ. დეფიციტი 40 მან. 40 კაპ. უკისრნია ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას, რომლის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება ამ ჟამად ხსენებული მამული.

—

**კავკასიელ ქალთა საზოგადოების** ახალ გამგეობას, ნინო ნაკაშიძის თავმჯდომარეობით, პირველი კრება ჰქონდათ 28 სექტემბერს. კრებამ გადასწყვიტა: 1) გადმოხვეწილთა 180 ბავშვისათვის გახსნას უსასყიდლო სასადილო და იშუამდგომლოს ქალაქთა კავშირის წინაშე სუფსიდიად დაუნიშნოს ამ სასადილოს თვიურად 648 მანეთი; 2) სამკერვალო სახელოსნოსათვის, რომელსაც დღევანდელის რიცხვიდან ხსნის საზოგადოების ქართული სექცია, იშოვოს სამუშაო, რისთვისაც უნდა მიმართონ ლაზარეთებს, სასწავლებლებს და სხვა დაწესებულებათ; 3) საზოგადოების ბიბლიოთეკისათვის დაიბეჭდოს სრული კატალოგი და 4) გამგეობის შემდეგ კრებაზე განსახილველად შემუშავდეს პროექტი სამოქმედო გეგმისა მთელი წლის განმავლობაში.

**ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების** გამგეობამ დაადგინა 29 სექტემბერს: 1) მიენდოს წიგნების გამომცემელ სექციას მცოდნე პირებთან ერთად შეადგინოს მთელი საქართველოს დაწვრილებითი რუქა მოკლე ხნის განმავლობაში გამოსაცემად; 2) დამტკიცებულ იქმნას სასკოლო სექციის დადგენილება შესახებ იმისა, რომ გადაიდოს 1.420 მანეთი ბათომის სკოლის შესანახად მიმდინარე წლის განმავლობაში; 3) გაეგზავნოს საზოგადოების მიერ გამოცემულ ისტორიულ წიგნების თითო ცალი მოსკოვის საკომერციო ინსტიტუტთან არსებულ სტუდენტთა წრეს, რომელსაც დაუსახავს კავკასიის ყოველ მხრივ შესწავლა.

დასასრულ გამგეობამ თავის დელეგატებად აირჩია ნინო ნაკაშიძე, შიო დედაბრიშვილი და ვარლამ ბურჯანაძე ქართულ დაწესებულებათა წარმომადგენლების კრებაზე დასასწრებად, რომელმაც ვაჟა-ფშაველას დასაფლავებაზე გადარჩენილ ფულს რაიმე დანიშნულება უნდა მისცეს.

# ახალი ამბავი

✦ **დამშეულთა დახმარება.** მეფის ნაცვლის შუამდგომლობის თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდვია სახელმწიფო სასურსათო თანხიდან 130 ათასი მანეთი სამურზაყანოს, ილორისა და კოდორის მცხოვრებთათვის საკვების შესაძენლად. ამ თანხიდან უკვე შეუძენიათ 53 ვაგონი სიმინდი და მცხოვრებლებს ურიგებენ.

✦ გუშინ, საღამოს 4 საათზე თბილისში ჩამოვიდა გამოჩენილი მგოსანი **ბალმონტი.**

✦ **გ. ნ. ყაზბეგი.** თავმჯდომარე ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების გამგეობისა, თავისს სამშობლო სოფელ სტეფანწმინდიდან თბილისს დაბრუნდა.

✦ **ბატონი ტიმოფეევი,** ინსპექტორი კავკასიის სასოფლო მეურნეობისა, კახეთს წავიდა სანერგეების დასათვალიერებლად. იგი, სხვათა შორის, დაათვალიერებს ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სანერგეს და საცდელ მინდორს სოფ. იყალთოში.

✦ **დიდი სეირნობა.** 29 სექტემბერს „ახალ კლუბის" მამასახლისთა საბჭოს თათბირი ჰქონდა იმის შესახებ, თუ როდის მოაწყოს დიდი სეირნობა 4 ოქტომბერს, რომ სტუმარნი ნასიამოვნები დარჩნენ და შემოსავალი, რომელიც მოსავლობისა და წყალდიდობისაგან დაზარალებულ სოფლების სასარგებლოდ დაიდების, დიდი იყვეს. თათბირზე მოწვეული იყვნენ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობის წევრები.

✦ **ქართული წარმოდგენა.** ქართულ მსახიობთა ამხანაგობა, ვასო აბაშიძისა და ქ-6 ტასო აბაშიძის მონაწილეობით, დღეს საღამოს ხელოსანთა კლუბში წარმოადგენენ ავქსენტი ცაგარლის პიესას —„რაც გინახავს, ველარ ნახავ".

✦ **ბოსტნეულობის გახმობის კურსები.** ხვალიდან თბილისის საბაღოსნო სკოლასთან არსდება პრაქტიკული კურსები, საცა მსმენელებს შეძლება ექნებათ შეისწავლონ ბოსტნეულობის გახმობა. სწავლა კურსებზე ორ კვირას გასტანს. ლექციებს წაიკითხავენ საბაღოსნო სკოლის გამგე პეტრე მელია, აგრონომი ი. ე. დორშანა და ინსტრუქტორი ველიცკი, კურსებმა უნდა მოამზადოს ინსტრუქტორები, რომელნიც სოფლის მეურნეთ პრაქტიკულ დახმარებას გაუწევენ.

✦ **მუსულმანთა საქველმოქმედო საზოგადოებას** თავშესაფარი გაუმართავს გადმოხვეწილთა 50 ობოლი ბავშვისათვის, სარწმუნოებისა და ეროვნების განურჩევლად. თავშესაფარში ბავშვებს ეძლევათ სასმელ-საჭმელი და ტანთსაცმელი.

✦ **საგარეჯოს საფეიქროს სკოლაში** რომელიც კავკასიის სახელსაქმო კომიტეტმა და ქართულმა სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ გახსნეს, ხვალიდან დაიწყება სწავლა.

✦ **ხოლერა.** 29 სექტემბერს ქალაქის ლაზარეთში მიიყვანეს ხოლერიანი 5 და ხოლერის ნიშნებით 3 კაცი. გარდაიცვალა ხოლერიანი 3 კაცი. გუშინ, 30 სექტემბერს, ლაზარეთში იმყოფებოდნენ ხოლერიანი 122 და ხოლერის ნიშნებით 10 კაცი.

✦ **გადამდები სენი.** გუშინ, 30 სექტემბერს, ქალაქის საავადმყოფოში იმყოფებოდნენ: ქუნთრუშიანი 56, შავი საბიანი 50, საოფლიანი 31, ხუნაგიანი 15, მუცელაიანი 3 და ყვავილიანი 1 კაცი.

✦ **გამოქცეულ ხიზნთა** სასარგებლოდ 25 და 26 სექტემბერს ყულაბებში შეგროვილა 5.350 მანეთი. ფულების მოგროვება მოწყობილი იყო სომხების საქველმოქმედო საზოგადოებისა და ცენტრალ კომიტეტის მიერ.

✦ ელისავეტპოლსა და ბაქოს გუბერნიაში გაემგზავრა უფროსი სპეციალისტი პეტროგრადიდან გამოგზავნილი ა. გ. ბარბერონ, რათა გაეცნოს ადგილობრივ მევინეობა-მევენახეობის მდგომარეობას.

✦ გუშინ თბილისში მოიტანეს დიდძალი კარტოფილი, რომელიც დარიგებულ იქმნა ადგილობრივ დუქნებში გასაყიდად ნიხრის მიხედვით გირვანქა 3 კაპეიკად.

✦ თბილისში მოელიან დამსახურებულ კიევის უნივერსიტეტის პროფესორს ს. ი. ნავაშინს, რომელიც ჩამოვა ბოტანიკურ ბაღის კაბინეტში სამეცნიერო სამუშაოდ.

# ეროვნული სიმდიდრე

„სახალხო ფურცლის" გუშინდელი მოწინავე წერილი ფრიად საგულისხმიერო საგანს შეეხება—„ეროვნულ სიმდიდრეს". მართალია, ეს წერილი ფრიად ბუნდოვანია და არ არკვევს ეროვნული სიმდიდრის ნამდვილ არსებით მხარეებს, მაგ-

# ჰაინეს ლექსები

ჩემის დიდის ტანჯვებისგან
მცირე ლექსნი შევქმენ მერე;
ფრთა შეასხი და ფრთხიალით
სატრფოს გულთან ავამღერე.

ისევ უკან დამიბრუნდნენ,
სტიროდნენ და სევდით თრთოდნენ;
რა იხილეს სატრფოს გულში:
სულ არაფერს მიამბობდნენ.

* * *

როს ერთმანეთს ჰშორდებიან,
გაუწვდიან ხელი-ხელსა,
ოხვრა ხდებათ გულსაკლავი
და აფრქვევენ ცხარე ცრემლსა.

ჩვენ ორნი კი არ ვსტიროდით.
ვაი-ვუით არ ვოხრავდით;
განშორების შემდეგ იყო
ღრმა ტანჯვას რომ გულში ვკლავდით!

* * *

რაცხან მიჯნურს განვეშორე,
სიხარულსაც გადვეჩვიე;
უხეიროდ ვხუმრობ მხოლოდ,
სხვის გულს წყენა დავამჩნიე.

რაცხან მიჯნურს განვეშორე,
გამიძნელდა სევდის ძლევა;
ლამის გული ტანჯვით მოკვდეს,
არ-კი ძალმიძს ცრემლის ფრქვევა!

**სანდრო შანშიაშვილი.**

რამ საინტერესოა იმითაც, რომ ნავსი გატეხილია და ცრუ სოციალისტური მიმართულება მიახლოვებით მაინც ემხრობა იმ ლოზუნგებს, რომლებითაც გამოვედით ჩვენ პირველად ჟურნალ „კლდის" ფურცლებზედ. მკითხველს ეხსომება თუ მაშინ როგორის გაფთრებით გვწვდენ „სახალხოელნი" და დაჰგმეს ჩვენი პოზიცია: „მეწვრილმანეული პოლიტიკა", წვრიმალების ჯგუფი, თავად-აზნაურობის მექომაგენი, ბურჟუაზიის მოტრფიალენი და სხვა ამგვარი „დამამცირებელი" ეპიტეტები სეტყვასავით მოდიოდა ჩვენზედ. ჩვენ თამამად შევხვდით მაშინ ამ უნიადაგო იერიშებს და თანდათან ჩვენს სიტყვას, რომელიც იმ დროში „**გაბედულად**" უნდა ჩაითვალოს და **კადნიერებად** გამეფებულ „უნაყოფო სოციალისტურ ლაყბობაში", არჩილ ჯორჯაძის ტერმინოლოგიით „რომ" ვილაპარაკოთ,—მოუპოვეთ თანაგრძნობაც და ძალაც. აი დღეს, უკვე ჩვენი მოპირდაპირე ალაპარაკდა იმ ენით, რომლისათვისაც ამ სამი წლის წინად თავზე კაკალს გვამტვრევდა.

რომელია ეს სიტყვა და რატომ მოხდა ასეთი ცვლილება „სოციალისტურ ბანაკში". ეხლანდელ ომის დროს ყველა რეალ საგანს ფასი დაედო და ყველაფერი თუობითი პირიქით ჰკარგავს საფასურს. ეს კანონი შეეხო არა მარტო სანოვაგეს, პირველ სახმარებელ ნივთებს და სხვა მატერიულ ღირებულებათ, რომელთა წონა-საფასურმა გაცილებით **იმატა** და ფულს, რომლის თუობითმა ძალამ (ნამეტნავად ქაღალდის ფული) შესამჩნევად **იკლო**; არამედ არსებულ იდეებშიაც გამოარჩია ნაყოფიერი და რეალი უნიათო და თუობითისაგან. დღევანდელმა ომმა ნამეტანის სიმკაცრით წამოაყენა ეროვნული იდეის საფუძვლიანობა და მიჰქელა განმარტებულ კუნჭულებში უნაყოფო კოსმოპოლიტიზმი; ომმა განდევნა იდეურ ბაზრიდან ინტერნაციონალის ჩვილი, სანტიმენტალი მხარეები და განამტკიცა ნამდვილი ინტერნაციონალის დებულებანი, რომ ყოველ ერს უნდა ჰქონდეს ინდივიდუალი, განწმენდილი სახე, რომ თავისუფალი და სოლიდარი კავშირი შეეძლოს სხვა ერებთან; ომმა გამოაჩინა, რომ ის ერი, რომელიც უფრო მდიდარია მატერიული სიმდიდრით, რომელიც უფრო მჭიდროა შემადგენლობით, რომელიც უფრო გამსჭვალულია რეალი იდეებით, ის უფრო ძლიერი გამოდგა ქვეყნის საერთო კატაკლიზმის დროს და მას უფრო მეტი უნარი აქვს სიცოცხლისათვის. მეორე მხრით კი გარიყა ცხოვრებიდან ის აზრები და ლოზუნგები, რომელნიც განსაკუთრებით თეორიის სამფლობელოს წარმოადგენდნენ და ცხოვრებასთან ნაკლები კავშირი ჰქონდათ.

ამ საერთო მსოფლიო კანონმა, გასაკვირველი არ არის, ჩვენშიაც იჩინა თავი და თუ ერთის მხრით გააბათილა სოციალ-დემოკრატების კოსმოპოლიტიზმი და აალაპარაკა ეროვნულ ჰანგებზედ, მეორეს მხრით გარიყა სოციალისტური „უნაყოფო ლაყბობა" „ეროვნულ სიმდიდრის" სასარგებლოდ. საკვირველია მხოლოდ რომ ამ ძლიერმა ნათელმა რეალობის დროისამ შეანათა ისეთ ბნელ ადგილებშიაც, საცა აქამდის გამეფებული იყო **ცრუ** სოციალიზმი. საკვირვე-

# პროვინციელ აგენტების საყურადღებოდ

აცხადებს გაზეთ „საქართველოს" რედაქცია, რომ პირველ ოქტომბრიდან გაზეთი „საქართველო" გადაეცა კანტორა „განათლებას". თუ, რომელიმე აგენტს, რამდენი სჭირია ხსენებული გაზეთი, დაუყოვნებლივ აცნობოს კანტორა „განათლებას".

„საქართველოს" რედაქცია.

ლია იმიტომ, რომ ყველაფერი ცრუ, უფრო ებღაუჭება ხოლმე თავის არსებობას, ვიდრე რაიმე ნამდვილი, რომელიც ადვილად უთმობს ადგილსა მაზედ ძლიერ სინამდვილეს. საკვირველია, მაგრამ სასიხარულოც და ჩვენ სალამს უძღვნით ასეთ „განთავისუფლებას".

„სახალხო ფურცელი" დღეს ქადაგებს ქონებრივი სიმდიდრის პატივსცემას და უსაყვედურებს არა მარტო თავად-აზნაურობას, არამედ ვაჭრებსაც კი, რომ შენახვა არ იციან; დასცინის იმათ, ვინც შექმნა „სილატაკის ფილოსოფია". ვის დასცინით, ბატონებო, თქვენსავე თავს, რომელნიც 10 წლის განმავლობაში გაიძახდით: შეძენა—ქურდობაა, ბურჟუაზია—მყვლეფავია, თავად-აზნაურობის მიწა გლეხის კისრიდან ამოღებული სისხლია და სხვა და სხვა. საზოგადოება დააშინეთ, საზოგადოებამ დაგიჯერათ და დღეს კი იგრძენით ეს შეცდომა. ბარაქალას მეტი არა გეთქმით რა, მაგრამ მაინც გარკვეულად სჯობია თქმა იმისა, რასაც დღეს ბუნდოვანად ამბობთ. როგორია ეროვნული სიმდიდრის ნამდვილი ცნება, თქვენ ამას არ არკვევთ და ამით სახსარს არ აძლევთ მკითხველს კონკრეტულ ფორმებში ჩამოაყალიბოს თქვენი დღევანდელი ლოზუნგები. ჩვენ კი ამაზედ დიდი ხანია ვლაპარაკობთ და თქვენც მოვალენი ბრძანდებით ალაპარაკდეთ, თუ მართლაც გსურთ ჩვენს ერს რაშიმე გამოადგეთ.

ეროვნული სიმდიდრე ორგვარია: ის რაც **მთელი ერის** კუთვნილებას წარმოადგენს, ანუ ჯამი პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურული და სულიერი სიმდიდრისა ერთის მხრით და ერის **კერძო** წარმომადგენელთა ყოველმხრივი სიმდიდრე მეორე მხრით. საუბედუროდ ჩვენში ნაკლებია პირველი, გარეშე პირობების ზეგავლენით და მის მოპოვებისათვის დიდი ბრძოლაა საჭირო და ნაკლებია მეორეც, რის წინაამდეგაც საჭიროა ბრძოლა, რადგან ერის კერძო პირთა სიმდიდრე, საფეხურია მთელი ერის ყოველმხრივ სიმდიდრისაკენ.

ყველა ადამიანი, ჯგუფი, პარტია თუ სხვა რამ ორგანიზაცია, რომელსაც არა სურს დაჰკარგოს ნიადაგი ცხოვრებისა და რეალიზმისა, ეჭიდება იმ საქმეს და იმ მხრიდან, რომელიც ეხერხება და რომელიც მიწაზედა სდგას.—ჩვენც ასე დავიწყეთ საქმე და გამოვედით ერთი ლოზუნგით: შეიძინეთ, გამდიდრდით, კერძო საკუთრებას მოუარეთ, კულტურული, სამეურნეო და სულიერი სახსარი მოიპოვეთ, რომ შეჯგუფდეს საგანძური—საფუძველი ერის უმაღლეს მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ჩვენ ვითხოვდით ქართველი საზოგადოებისაგან ვაჭრობა-მრეწველობის მფარველობას, ჩვენ ვეხმარებოდით სიტყვით, საქმით თუ წერით ყოველგვარ კოოპერატიულ მოძრაობას, ჩვენ ვამტკიცებდით იდეას მიწის გადასვლისას მშრომელთა ხელში... და ყველა ამისათვის ქვა და გუნდა მოგვაყარეს იმ ცრუ სოციალისტებმა, რომელნიც დღეს ჩვენსავე სიტყვებს იმეორებენ.

მაგრამ იმეორებენ გამოურკვევლად და საჭიროა ქარაგმების მოხსნა. სახელმწიფოებრივ-ეროვნულ-ეკონომიური პოლიტიკის წარმოება ჯერ ჩვენ ხელთ არ არის და ამიტომ ჩვენი აზრი და ენერგია უნდა მიქცეული იყოს ორი მხარისაკენ: ერის **ორგანიზაცია** ეკონომიურ-კულტურულ ნიადაგზედ და **კერძო** ინიციატივის და გამდიდრების ხელის შეწყობა, კერძო საკუთრების პრინციპის განმტკიცება. ეს ნათლად უნდა იყოს ნათქვამი, რომ ყველამ ნათლად წარმოიდგინოს, როგორი უნდა იყოს ის „ფართო გეგმა" რომელზედაც ლაპარაკობს „სახალხო ფურცელი". იქნება ეს გეგმა ცხოვრებასთან დაკავშირებული, თუ ისიც ისე ჰაერში ჩამოეკიდება, როგორც მათი ცრუ სოციალიზმი? ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ერთხელ შემდგარი რეალ საფუძველზედ, იგი უკან აღარ დაიხევს და ვინცა სთქვა „ანი", „ბანსაც" საქმისას დაადგავს.

**რ. გ.**

# პროვინციის ქრონიკა

**ქუთაისი.**

1 ოქტომბრისთვის ქუთაისში მოელიან კომერციულ ცოდნათა ოლქის ინსპექტორს ბ. რუდოლფს, რომელიც დაესწრება ხსენებული სასწავლებლის კურთხევას. სწავლა კომერციულ სასწავლებელში დაიწყება 28 სექტემბრიდან.

— 25 სექტემბერს ქუთაისში ჩამოვიდა თბილისის სამოსამართლო პალატის სესია, რომელიც დარჩება 10 ოქტომბრამდის. ამ ხნის განმავლობაში გაირჩევა ბევრი საყურადღებო საქმეები.

— ქუთაისსა და ჭიათურაში მყოფ ბერძნებს განძრახვა აქვთ ამ მოკლე ხანში თუ ზღვით მიმოსვლა იქმნა გაემგზავრონ თავიანთ სამშობლოში, რომ მოსალოდნელი მობილიზაციისათვის მზად იყვნენ.

— 5 ოქტომბრისათვის განზრახულია ქუთაისში თავი მოიყარონ საქართველოში მცხოვრებ ებრაელების ყველა რაბინებმა და მოლაპარაკება იქონიონ თვითგანათლების გასაუმჯობესებლად. სურვილი აქვთ სხვა და სხვა კუთხეებში დააარსონ საკუთარი სკოლები და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებები.

— 17 სექტემბერს სოფ. სადვალიშვილოში ზოსიმე დვალიშვილმა დანით მოჰკლა კონსტანტინე დვალიშვილი. მიზეზი ადგილების შესახებ იყო.

13 სექტემბერს სოფ, ბანძაში (სენაკის მაზრა) ვიღაც ბოროტ გამზრახველებმა გაიტაცეს ადგილობრივი ვაჭრის ეფრემ აჯიაშვილის 17 წლის ვაჟი იოსები.

— როგორც იმერეთის სხვა და სხვა სოფლებიდან ცნობები მოდის წელს ნაკლები მოსავალი იქნება. გლეხები ახლავე დიდ გაჭირვებას განიცდიან. ზოგ სოფლებში ყანები კიდეც მოიწიეს, მაგრამ ზობამდისაც ვერ გამოჰკვებავენ ცოლშვილს. ღვინის მოსავალი ხომ სულ არ არის. ქუთაისში ყურძენი კვირაში ერთხელ თუ შემოვა 10—15 ურემი ყურძენი და ისიც საგობეთ იყიდება 4—5 მანეთამდე ფუთი. ღვინის დასაყენებლად ყურძენს ვერავინ ვერ ყიდულობს. დასავლეთ საქართველოში წელს დიდი შიმშილობაა მოსალოდნელი და თუ თადარიგს ეხლავე არ შეუდგენ ბევრი შიმშილითაც დაიხოცება.

— „**ქართული დრამა**"—საზამთრო სეზონი. ხუთშაბათს 1 ოქტომბერს ქართველ მსახიობთა ამხანაგობა იწყებს წარმოდგენების მართვას. დასში არიან: ქალები—ანდრონიკაშვილი, ბეჟანიშვილი, თოიძე, კავთელი, ეფ. მესხი, მდივანი, ლოლობერიძე, შოთაძე; ვაჟები: ბარველი, გვარაძე, გუგუშვილი, დადიანი, ზარდალიშვილი, კორიშელი, მურუსიძე, სარელი, ყალაბეგიშვილი, ჩაგუნავა, ჩხიკვაძე, ხონელი. სავასტროლოდ მოწვეული იქნებიან: ტ. აბაშიძე, ნ. დავითაშვილი, ნ. ჩხეიძე, ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, ა. იმედაშვილი. სეზონის გახსნისას წარმოდგენილი იქნება ი. [illegible]ევანიშვილის ცნობილი პიესა „**სინათლე**". პარასკევს 2 ოქტომბერს განმეორებული იქნება იგივე. შაბათს 3 ოქტომბერს მესამე წარმოდგენისათვის დანიშნულია წარმოსადგენად „**კაიუს გრაკხუს**"; მზადდება: „**ურიის სისხლი**", „**დედინაცვალი**" და „**სახელმწიფო სადგომი**".

**დ. ხონი.**

— ხონში გირვანქა დამტვრეული შაქარი იყიდება 22 კაპ., დამტვრეული— 24 კაპ. და ფხვნილი 21 კაპ.

— ამ უკანასკნელ ხანებში ყურძნის ფასმა ძლიერ აიწია. ფუთი იყიდება—4 მ. 20 კაპ.

მეფურნეები ცხენისწყლით ზელავენ პურს და ამის გამო მყიდველები გამომცხვარ პურში ბევრ სიბინძურეს პოულობენ.

— ს. ბანძიდან შანტაჟისტებს გამოუტაცნიათ 14 წლის ბავშვი დედმამისათვის. შანტაჟისტები მაშინვე მიმალულან.

# † ი. ი. ნატროშვილი

ორშაბათს, სექტემბრის 28-ს, საღამოს 7 საათზე, უეცრად გარდაიცვალა ქ. თბილისში ილია (იოველ) ივანეს ძე ნატროშვილი.

იშვიათად თუ ვინმე არ იცნობდა განსვენებულს...

ის იყო დიდი გამოცდილების და ცოდნის პატრონი, იშვიათი მცოდნე და მოყვარული თავისის საქმისა.

ვექილობა ისეთი ხელობაა, რომ მასზე მდგომს ბევრნი ემდურიან. ძნელია, ვექილს ყველა ემადლიერებოდეს. ეს მით უმეტეს ისეთის დიდის პრაქტიკის პატრონზე ითქმის, როგორიც განსვენებული ილია ივანეს ძე იყო. მაგრამ პირადად უკმაყოფილოთაც არ შეეძლოთ არ დაეფასებინათ განსვენებულის იშვიათი ღირსებანი, როგორც ვექილისა...

ძლიერი ლოღიკა, დინჯი, დამშვიდებული ხასიათი, მახვილი გონება, პირდაპირ ფენომენალური მეხსიერება—აი რა ახასიათებდა განსვენებულს, როგორც ვექილს, რითი გაიკაფა მან გზა ცხოვრებაში, რითი მოიხვეჭა სახელი.

სპეციალ იურიდიულ განათლებას მოკლებულმა, მან ბევრს განათლებულს იურისტს გადააჭარბა, მარტოოდენ თავის პირადის ღირსებით და მეცადინეობით დაიჭირა ის საპატიო ადგილი, რომელიც სამართლიანად ეჭირა სიკვდილის დღემდე. ბევრი ისეთი საკითხი იყო, საცა განსვენებულს ბადალი არა ჰყავდა, მაგალითად: გამიჯვნის საქმე და საგლეხო კანონები, განსაკუთრებით ხიზანთა საკითხი. ამ მხრივ ილია ივანეს ძე ცნობილია, არა მარტო როგორც ვექილი: ის მონაწილეობას იღებდა ხიზანთა კანონმდებლობის გადასათვალიერებლად მოწვეულ თათბირებში და თავისი ცალკე აზრიც დაბეჭდა თავად-აზნაურობის მიერ შედგენილ კოლლექტიურ გამოკვლევაში.

გარდა საგნის ღრმა ცოდნისა, ილია ივანეს ძე ნაქები იყო თავისის იშვიათის მუყაითობით, საარაკო დაუღალაობით: დღეს ის თბილისში იყო, ხვალ ქუთაისს მიემგზავრებოდა, ზეგ დუშეთს ამოჰყოფდა თავსა... და ასე დღიდან დღემდე, კვირიდან კვირამდე... პირადად მე რამდენჯერმე გავხუმრებივარ: გეყოფათ, ბატონო, ამდენი შრომა, ახლა მოისვენეთ, ყმაწვილებსაც გვაცალეთ ვექილობამეთქი.

— ვერ გავძლებო, იყო, მისი მოკლე პასუხი. უსაქმოდ სიცოცხლე არ შემიძლიანო... და საქმობდა, მუდამ საქმობდა...

სულიც საქმეში დალია...

თავის ცხოვრების უკანასკნელ დღეს, ორშაბათს, ჯერ საოლქო სასამართლოში ჰქონდა საქმე, მერე გლეხთა საქმეების საგუბერნიო საკრებულოში... სწორედ ერთად მოგვიხდა უკანასკნელში გამოსვლა... ილია ივანეს ძე თავისს ჩვეულებრივს გუნებაზე იყო... ხუმრობდა, ოხუნჯობდა... ან კი როგორ წარმოვიდგენდი, რომ რამოდენიმე საათის შემდეგ ის აღარ იქნებოდა!...

მაგრამ რაც წარმოუდგენელი და დაუჯერებელი იყო ნაშუადღევის სამ საათზე, საღამოს შვიდ საათზე უკვე ფაქტი იყო...

გამოესალმა წუთის სოფელს ორიგინალი პიროვნება, ძლიერის ინდივიდუალობის პატრონი...

ვინც ნათლად გვიჩვენა, თუ რა შეუძლიან ბუნებრივ ჭკუა-გამჭრიახობას მუყაითობასთან შეერთებულს...

**გ. ჟორდანია.**

# პრესა

„პეტრ. ვედ." დაბეჭდილია ფრიად საყურადღებო წერილი დღევანდელ ვითარების გამო, სადაც სხვათა შორის ნათქვამია:

„როდესაც გერმანიის დღევანდელ მდგომარეობას ვსწავლობთ, მხოლოდ ორი სამწუხარო დასკვნა გამოგვყავს: 1) რომ ჩვენი მტერი, მიუხედავად იმისა, რომ ცოტა სურსათი ჰქონდა, პურით ეხლა უზრუნველყოფილი შეიქმნა, იმდენი მოახერხა, რომ სრულიად კმაყოფილია დღეს. რატომ? რა თქმა უნდა, თვის ძლიერი ორგანიზაციული ნიჭით. ჩვენ კი, მიუხედავად იმისა, რომ მოსახმარი სურსათი თავზე საყრელი გვაქვს, იმდენიც ვერ მოვახერხეთ, რომ ...ესე-

რება დაგვეცა და განაწილება სწორე დონეზე დაგვეყენებინა. ჩვენს სახელმწიფოს დიდ ცენტრებს აკლიათ პირველ მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი საგნები, ვერ მიგვიწვდენია დროზე და არეულობაც იმიტომაა გამეფებული. 2) არა ნაკლებ საყურადღებოა ის გარემოება, რომ მთელი წლის განმავლობაში რუსული ბეჭდვითი სიტყვა მთელ რიგ ბოროტმოქმედებით ჰკვებავდა ხალხს. ხალხს არწმუნებდა გერმანიის ეკონომიურ მდგომარეობის სიმძაფრეში, აძინებდა იმ ტკბილი აღთქმებით, რომ მტერი თუ ფარ-შუბით არა, შიმშილით მაინც იქმნებოდა ამოსრესილი. ამიტომ დღეიდან ჩვენი მტრის დამარცხების იმედი გარეშე და შემთხვევით გარემოებათა იმედებზე კი არ უნდა დავამყაროთ, არამედ იარაღზე. იარაღით უნდა გავცეთ პასუხი, იარაღითვე უნდა დაედოს საზღვარი მის მძვინვარე თავგასულობას".

* * *

„რ. ვ." დაბეჭდილია გენერალ ბელიაევის წერილი **სტუდენტთა ჯარში გაწვევის შესახებ:**

„კატეგორიულად ვაცხადებ, ამბობს ბელიაევსკი,—რომ მთავრობას ოდნავაც არ შეუწყვეტია თავის გარდაწყვეტილება მოსწავლეთა ჯარში გაწვევის შესახებ. უწყებას საზოგადო კრებაზე შეეხნენ ამ საკითხს და პრინციპიალი სურვილი გამოსთქვეს, რომ სტუდენტებიც ჯარში გაიწვიონ. თუ რომელ კურსიდან ან რა წლოვანებისას გაიწვევენ, ამას შემდეგ სხდომაზე განიხილავენ. ეს კი ხუთშაბათამდინ არ მოხდება".

სხვა წყაროებიდანაც მტკიცდება, რომ სტუდენტთა ბედი გარდაწყვეტილია, თუმცა ირწმუნებიან, რომ ასეთი გაწვევა მხოლოდ განსაკუთრებულ გაჭირვების დროს მოხდებაო, სახელდობრ, მაშინ, როდესაც სამხედრო სასწავლებლებში თავისუფალი ვაკანსიები ვერ შეივსებაო..

## სად არის ალექსანდრე როინაშვილისაგან შეწირული ფოტოგრაფია?

ალექსანდრე როის შვილმა თავისის ანდერძით შესწირა წერა-კითხვის გამგეობას იშვიათად მოწყობილი ფოტოგრაფია და თავისი დიდმნიშვნელოვანი ფირმა ამ ფოტოგრაფიისა. ოდესღაც ქალაქში მყოფმა ფოტოგრაფმა ვესტლიმ, შეიტყო თუ არა როინაშვილის სიკვდილის ამბავი, არ გვახსოვს საიდგანღაც,—რუსეთის მხარიდან,—თხოვნა გამოუგზავნა წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას, იჯარით მომეცით როინაშვილის ფოტოგრაფია და ფირმა წელიწადში 3000 მანეთადაო. წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ არ მისცა ვესტლის ეს ფოტოგრაფია, ხოლო თითონვე დაიწყო მისი წარმოება და გამგეთ დააყენა ჯერ როინაშვილის ძმისწული და მომცელიძე, ხოლო შემდეგში ურია ნორშტეინი. ეს უკანასკნელი ჩქარა გააგდეს და მერე მგონი ისევ მომცელიძე დააყენეს გამგედ. შემდეგში ეს ფოტოგრაფია და ფირმა ცოტ-ცოტად გაყუჩდა და დაილია და ბოლოს კიდეც დაიხურა.

ფოტოგრაფია იშვიათად იყო მოწყობილი და თბილისში უკეთეს ფოტოგრაფიად ითვლებოდა. ძვირფასი ობიექტივები, შესამჩნევი მოწყობილობა მდიდრულის ხალიჩებით და ძვირფასი ნივთებით, საუკეთესო ალბომები და სხვა ამგვარი დიდს ქონებას წარმოადგენდა.

დღეს ქართველი ახალგაზდა ფოტოგრაფიის ხელობის კარგი მცოდნე ქალაქში უსაქმოდ დაიარება და ეძებს ფულს და შემწეს ფოტოგრაფიის მოსაწყობლად. კარგი იქნებოდა ჩვენმა წერა-კითხვის საზოგ. გამგეობამ გამოძებნოს სად არის და სად ინახება როინაშვილის ფოტოგრაფიის მოწყობილობა. სად არის იმისი ძვირფასი და იშვიათი ობიექტივები, რომელშიაც (ორი იყო ამისთანა) ჩემის დასწრების დროს როინაშვილს ოთხმოცს და ას თუმანსაც კი აძლევდნენ და არ მისცა? სად არის იმისი რამოდენიმე და ძვირფასი სტერეოსკოპები? სად არის დივანი, კრესლოები იშვიათის სქელის ჯეჯიმით გადაკრულები? სად არის მდიდარი ხალიჩები, ფარდაგები? სად არის იმის ოთხი ოთახის მოწყობილობა? სად არის ბეჭდები და ოქროულობა?

ჩვენდა საბედნიეროდ ყველა ეს ქონება სიკვდილის პირველ დღესვე სასა[...] ბოქაულმა გადასწერა და ის ოქმ[...] დღესაც ინახება.

კარგი იქნება, რომ ყველა ეს მოიძებნოს და გამოიყენოს საზოგადოებამ.

**გ. გძელიშვილი.**

## გერმანეთის გულის ზრახვა

„უტრო როსიის" კორესპონდენტს მოჰყავს ინგლისელ პოლიტიკოსის წერილი, რომელიც დასტამბული ყოფილა 1915 წელს. ამ წერილში წინასწარ გამოთქმულია დაახლოვებით ის პროგრამა და გეგმა, რაიც გერმანეთს განსახორციელებლად ნდომებია. წერილს სათაურად „დრანგ ნახ ოსტენ" ანუ ქართულად „ლტოლვა აღმოსავლეთისკენ" ჰქვიან და ვრცლად ეხება გერმანეთის გულში ჩამარხულ სურვილს. მოგვყავს ერთი ნაწყვეტი:

გერმანეთს ჰსურს შეიქმნეს—ამბობს იგი—კონგლომერატი (გარემომცველი) დიდთა და პატარა სახელმწიფოთა, რომელნიც დამოკიდებულნი იქმნებიან უზენაეს იმპერატორისგან. საერთო იქმნება ჯარი და ფლოტი ერთმანეთის ინტერესების დასაცავად. ასრეთს იმპერიაში მოჰყვებიან სამეფონი, სამთავრონი, საჰერცოგონი, რესპუბლიკანი ეხლანდელ გერმანეთისა და აგრეთვე უნგრეთი, რუმინეთი, სერბეთი, ბულგარეთი, სამთავრო კროაცეთი, საშავმთიელო, მაკედონეთი, ბიზანტიის რესპუბლიკა, ანატოლიის სასულთანო, რესპუბლიკა ტრაპეზუნდი, დამოუკიდებელი სახელმწიფო მესოპოტამია და სხვ. ყველა ზემორე აღნიშნული სახელმწიფონი შედუღებული იქნება გერმანეთის დუღაბით და ქვაკირით. ყოველ კუთხეში ჰავის და მიხედვით შეიქმნება გერმანელთა კოლონიები, როგორც რუსეთსა და ტრანსილვანსა და სირიაშია. გერმანეთის კავშირის ადგილ-მამული შემოიფარგლება ჰამბურგსა და ჰოლშტაინიდან. ბალტიისა ჩრდილო ზღვიდან დაწყებული ვიდრე ტრიესტისა და ადრიატიკამდე, ეგეის ზღვასა და კონსტანტინეპოლამდე, ალექსანდრეტის სრუტესა, ეფრატისა და სპარსეთის საზღვრამდე.

შეიძლება ოსმალეთის სულთანს ტახტი შერჩეს, მაგრამ თვისი ბინა მან მცირე აზიაში უნდა მოძებნოს. მის გვერდით დიპლომატი აგენტი და გერმანელები იქმნებიან, რომელნიც ფინანსიურსა და სახელმწიფოებრივ მართვაში ხელმძღვანელობას გაუწევენ. იმპერიის კავშირში შესული სახელმწიფოები ავსტრო-უნგრეთი, ბოჰემეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, სერბეთი, საშავმთიელო ისევე დამოუკიდებელნი იქმნებიან, როგორადაც დღეს გერმანეთის სახელმწიფოში ბავარეთი და საქსონეთი არის. ამ შეერთებულ უდიდეს სახელმწიფოთა იმპერატორი იქმნება ვინმე გერმანელი, ჰოჰენცოლერნთა გვარისა. სატახტო ქალაქად იგი ან ბერლინს, ან ვენას ამოირჩევს.

იქნებ კვლავ აღდგეს რომის უდიდესი სახელმწიფო, რომელიც ამხედრებულმა მაჰმადმა დაამხო. ბრიტანეთი, ირლანდეთი, საფრანგეთი, იტალეთი და პორტუგალეთი შეკავშირდებიან დასავლეთ იმპერიის შესაქმნელად.

ხოლო გერმანეთი თავის მოკავშირეებით: მადიარებით, სლავიანებით, რუმინელებით და ბერძნებით აღადგენს ბიზანტიის სახელმწიფოს, რომელიც კონსტანტინემ ოდესმე შეჰქმნა."

ასე მოგვითხრობს ინგლისელი მეცნიერი ჯონსტონი გერმანეთის წყაროებიდან ამოკრეფილ ცნობების მიხედვით, ზოგიერთი მკითხველებიო—ამბობს იგი—იქნებ მოესწრნენ იმ დროს, რომ ვილჰელმ მეორე თუ ფრიდრიხ მეოთხე სოფიაში „მახლობელ აღმოსავლეთის იმპერატორის" გვირგვინს იდგამდეს თავზედაო".

დიდი ზრახვა გერმანეთისა და მის მოკავშირეთა, რასაკვირველია ვერ განხორციელდება; ამ ჟამად ის კი არ არის თავსატეხი თუ მომავალში რა იქნება, საინტერესოა ის, თუ დღეს რა აღსრულდა, ანუ რა მოხდა?

მოხდა ის, რომ გერმანეთმა ოსმალეთი ხელთ იგდო.

კორესპონდენტი ასე ათავებს თავის წერილს: რამოდენიმე წლის წინად კონსტანტინეპოლიდან გერმანელთა მატარებლით საავგარაკოდ მივდიოდი. ამ მატარებლით შემეძლო გამევლო კონიიდან ალექსანდრეტამდე და იქიდან შიგ შუაგულ მესოპოტამიაში მოვხვედრილიყავ. ასევე შეიძლება გერმანეთის ჯარი შეიყვანო შუაგულ მესოპოტამიაში. მოხდა ის, რომ საფრანგეთის კაპიტალისტების მონაწილეობით რკინის გზა გაიყვანეს ჰამბურგიდან კონსტანტინეპოლსა და მესოპოტამიაში და კონსტანტინეპოლიდან დამასკზე გაატარეს არაბეთში. მოხდა ის, რომ ბულგარეთიც გერმანეთმა ხელთ იგდო და სერბეთის წინააღმდეგ ილაშქრებს, მოხდა ის, რომ პირდაპირ ბერლინიდან ჯარს შეუძლიან დარდანელზე გაილაშქროს, ხოლო სოფიიდან საფრანგეთსა ან რუსეთს, თავს დაესხას. ყველაფერი ეს მოხდა გერმანელების გამუდმებულის და ჩუმის მუშაობის შემწეობით, რათა ეს „უტოპია" სისრულეში მოეყვანათ. ხარობს გერმანეთი მაგრამ როდემდის? აი საკითხი!

## პროვინცია

**ს. ფხვენისი.** დიდი ლიახვის ხეობაზე ფხვენისი პურის მოსავლით იყო განთქმული. აქაური პური გორისა და ცხინვალის ბაზარზე მუდამ მეტ ფასში გადიოდა. უკანასკნელ წლებში პურის მოსავალმა თანდათან იკლო, მაგრამ წლევანდლისთანა მცირე მოსავალი კაცს არასდროს უნახავს. წელს პური იმდენი მოვიდა, რამდენიც კვლავ დროს თითქმის ღალად გადიოდა. ნახევარს სათესლეც არ მოუვიდა სამყოფი. წარსულ წლებში პურის დანაკლისს ხილით ნაზღაურობდნენ, წელს ხილიც ნაკლები მოვიდა 5000 ფუთის მაგიერ წელს ამ სოფლიდან კარგია თუ 500 ფუთი გავიდა. ჯერ სულ თხელად ესხა, მერე იყო და ფრინველმა გააფუჭა. ღვინის მოსავლით რაიმე ზარალის აღდგენაზე ფიქრიც არ შეიძლება. შიმშილობის თავიდან ასაცდენად ხალხი ეხლავე თადარიგს შეუდგა. ადგილობრივ სასოფლო ბანკის თავდებობით რუსეთიდან პური გამოიწერა და სხვ. აი ასეთ სიყმილის დროს, როდესაც ყველაფერმა ჩვენს წინააღმდეგ გამოილაშქრა, ასეთ ცეცხლის პურის ჭამის დროს, სოფ. ფხვენისმა ყველაზე გაუკითხაობა და უდიერობა ისეთი პირისაგან მიიღო, რომლისგან ყველაზე მეტს შველას უნდა მოელოდეს კაცი. აქაურმა მღვდელმა ზ. სამაგლიშვილმა ამ თვის 14-ს დაარბია ისედაც შეწუხებული სოფელი. თვალით მნახველებმა აი რა გადმომცეს: 13 სექტემბერს, ჯვართ-ამაღლების წინა დღეს საღამოთი მწუხრი დაირეკა. გავცვიფრდით, ჩვენი მღვდელი წირვა-ლოცვას ჩვეული არ არის და ახლა რამ მოაგონაო. მაგრამ ერთმა ჩაიცინა და სთქვა—არ იცით, შვილო, რა მუცლის გვრემა აქვთ? ხვალ სულთაობაა და ხილი ბლომად შეუათო. ეს ლაპარაკი არ დაგვემთავრებინა, რომ თავს წამოგვადგა სოფლის ნაცვალი, ამორჩეული კაცი, გზირი და გამოგვიცხადეს:

დილისთვის ყველამ ორ-ორი მანეთი დაამზადეთ მღვდლის დრამა, ეხლა ფულად არის გარდაწყვეტილი, პურის მაგიერ კომლზე ორი მან. უნდა აძლიოს ყველამ, ღარიბმა და მდიდარმა, თავადმა და აზნაურმაო. ეხლა კი უფრო მივხვდით მიზეზს ზარის რეკვისას. ალბად მღვდელმა იცოდა, რომ ახალი წესის შემოღებაზე სოფელი ყაყანს დაიწყებდა და კბილის მოსაჭრელად იმანაც ზარის რეკით მთელს სოფელს აუწყა, რომ მეც ვერთგულობ ჩემს სამსახურს და სამართლიანად ვითხოვ ჩემს გასამრჯელოსო. იმ ღამეს არაფერი, გათენდა მეორე დილა და სოფელში ალიაქოთი შეიქმნა: დიდსა და პატარას ყველას არბევდნენ, ზოგს რას ართმევდნენ, ზოგს რასა, მეტ წილად კი უფრო ავეჯეულობას და ჭურჭელს. წირვის დროს რამდენიც ზარი დაირეკებოდა, იმდენი დარბეული ოჯახი მღვდელს არისხებდა უფალთან. შეიკრიბა სოფელი. მღვდელს კაცი მიუგზავნეს: რად გვარბევ, რაზე გვაწიოკებ, როდის მოხვედი, რომ არ მოგეცითო. ჩვენ შეძლების დაგვარად გაძლევდით და შენ კი ყველას, ქვრივსა და ობოლს ერთბაშად მოსდე კლანჭიო.—ჩემი საქმე არ არის, იყო მღვდლის პასუხი, თქვენ ხელმოწერილი ხართ და უნდა გადაიხადოთო. ხელის მოწერა კი, როგორც სარწმუნო პირები ამბობენ, ასე ყოფილა: მამასახლისს გამოუცხადებია, რომ ახლა მღვდლის დრამა ფულად უნდა შეიტანოთ და ამაზე ყველამ ხელი უნდა მოაწეროთ; თქვენ რაც გინდათ ისა სთქვით, მე მაინც ასე დავწერო. მაშინ სოფელმაც უპასუხა—რახან შენი ნებაა, ჩვენ რაღას გვეკითხებიო, როგორც გინდა, ისე ჩასწერეო.

მღვდელს, როგორც მწყემსს და მოძღვარს დიდი ვალი სდევს. არც ალაგია, არც დრო, რომ აღვნიშნოთ აქ დაწვრილებით მოძღვრის მოვალეობანი, მხოლოდ იმას კი ვიტყვით, რომ ზაქარია მღვდელს, ბევრი ჰყავს სხვა ამხანაგები, რომელნიც კეთილი თესლის მაგიერ ეკალსა სთესავენ თვის სამწყსოში. როგორც გვატყობინებენ, ფხვენისის გარდა ბევრ სხვა სოფელსაც უხამუშნია დრამის ახალი სისტემით მოკრება, რადგანაც უმწეოდ და უსაშველოდ დარჩენილი გლეხი, რაც გინდა გულქვა მღვდლის ხელში იყვეს, მაინც შებრალებას მოელის, პურს სხვა რამით გადუხდის, ისიც როცა ექნება, ჩაფრის მათრახს კი მარტო ფული აცდენს, რომელიც მისთვის ყველაზე ძნელი საშოვარია. ასეთია მოლვაწეობა ამ სულიერი მამისა. ასე სწუხს ხალხი, ასე იკრულავს ბედს... ამიტომ არის ჩატეხილი ხიდი მღვდელსა და სამწყსოს შორის საერთოდ. მმართველმა არქიელმა უნდა ყურადღება მიაქციოს ზემო აღწერილს მოვლენას, გაუწიოს ანგარიში და მასზედ მინდობილ ხალხს რენეგატი თავიდან მოაცილოს.

**ერედველი.**

## დეპეშები

**ნიში.** რომის მახლობლად, დუნაის ფრონტზე 27 და 28 სექტემბერის განმავლობაში ცვლილება არ მომხდარა. ავსტრიელები და გერმანელები შეეცადნენ პოჟარევცის ჩრდილო სერბების პოზიციები ხელში ჩაეგდოთ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ, თანაც დიდი ზარალი მოუვიდათ. ღამის იერიშით მათ აიღეს სოფელი ლიპა, მაგრამ სერბებმა უკან დაიბრუნეს იგი და თანაც დიდი ზარალი მიაყენეს მტრებს. ღამით ორჯერ შეეცადნენ ავსტრიელები და გერმანელები ქალაქის და ციხე სმედერევოს აღებას, მაგრამ სერბებმა ორივე იერიში მოიგერეს და მტერსაც დიდი ზარალი მიაყენეს. ბელგრადის მხრივ ავსტრიელებმა და გერმანელებმა 27 სექტემბერს იერიში მოიტანეს სერბების პოზიციებზე ქალაქ ბანოვა-ზრდას მიდამოებიდან, სერბებმა 1—2 კილომეტრით უკან დაიწიეს რადგან მათ არტილერიას გასაქანი არა ჰქონდა და არც [...] ზარბაზნის ყუმბარებს [...] დაეჭირა. სერბებს უკან დახევას ავსტრო-გერმანელი ჯარები ხელს არ უშლიდენ. ღამეშ წყნარად ჩაიარა. სავის ფრონტზე ავსტრეთ-გერმანეთის ჯარებმა დიდი ყალიბის ზარბაზნები დაუშინეს სერბების პოზიციებს. სერბეთის ჯარები პოზიციებს არ სტოვებდენ. დანარჩენ ფრონტზე საგულისხმიერო არა მომხდარა რა.

**ცეტინიე,** 24—25 სექტემბერის განმავლობაში ბოსნიის ფრონტზე ბრძოლა იყო. ავსტრიელებმა დააპირეს დრინაზე გადმოსვლა გორეჟისა და მეჯოჯის მახლობლად მაგრამ ყოველგან უკუგდებულნი იქმნენ დიდის ზარალით. საზოგადოდ, უკანასკნელ დღეებში ავსტრიელებმა მოქმედება გააცხოველეს მთაშავეთის ფრონტზე, მაგრამ ჯერჯერობით მათი ცდა უნაყოფოდ რჩება.

### ჩვენი ფოსტა

**ბაქო. დ. კოპალს.** როგორც გამოირკვა, მასალების გადარჩევის დროს ასოთ-ამწყობთ უნებლიედ გადაჰკარგვიათ თქვენი ლექსი. კეთილი ინებეთ და მისი პირი გამოგვიგზავნეთ.

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

### ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 ბაქოდან . . . | 12 ს. | 54 წ. | დღ. |
| № 4 ბათომიდან . . | 5 ს. | 55 წ. | საღ. |
| № 5 ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. | 41 წ. | საღ. |
| № 10 ბათომიდან. . | 9 ს. | 51 წ. | დილ. |
| ჯულფიდან | 6 ს. | 53 წ. | დილ. |
| ბორჯომიდან . | 7 ს. | 25 წ. | დილ. |
| „ საგარ. | 10 ს. | 28 წ. | საღ. |

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 ბათომისკენ . . | 1 ს. | 45 წ. | დღ. |
| № 4 ბაქოსკენ . . | 7 ს. | 3 წ. | საღ. |
| № 6 ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. | 8 წ. | დღ |
| № 9 ბათომისკენ . . | 8 ს. | 53 წ. | საღ. |
| ჯულფისკენ . | 10 ს. | 23 წ. | საღ. |
| ბორჯომისკენ | 3 ს. | 29 წ. | დღ. |

1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა

„განათლება"

ჯერჯერობით აგენტებს გა[...]ენებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო" „თანამედროვე აზრი", „ეშ. მათრახი", „თეატრი და ცხოვრება", „კავკაზსკოე სლოვო", „თბილისის ლისტოკი", „ორიზონი", „მშაკი" და „ხათაბალა" და იყიდება ახლად გამოცემული წიგნი ა. ალდონისა **„აკაკი და მისი პოეზია"** (რუსულ ენაზე), **„სქესობრივი საკითხი და ბავშვი"** ი. გომართელისა, **„მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები"**—მასლოვისა, **„ცხოვრების სიმღერები"**—ბეგლარ ახოსპირელისა, **„კოოპერატივები იტალიაში"**—ნ. ჟორდანიასი და სხვადასხვა ქართული წიგნები.

აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადონ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

**კანტორის ადრესი:** Ольгинская 6.

წიგნის მაღაზია

„ახალი სიტყვა" („НОВАЯ РѢЧЬ").

ი. დ. კიკნაძისა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნი; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ.

განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქგარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში. (წ.—42)

თევზის მრეწველნი

ძმ. ძიძიგურები

პუშკინის ქუჩა, საკუთ, სახ, № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ, მაილოვის-ძვით", სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა,** მცირე მარილიანი, შავი **„მეშოხნი"** ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.